გაგაფხულდა!

მარტი მოსავლის სიუხვის გადამწყვეტი თვეა!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

КОМУНИСТИ—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 მარტი ოთხშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 51 (15264)

სოფელი დიდი გამოცდის წინ

ოცდაერთი გაზაფხული, სოფლის მშრომელები სამუშაოდ უკვე გავიდნენ მინდვრად. ბაღ-ვენახებში, ჩაის პლანტაციებში დაიწყეს მიწის სამუშაოები, შეაქვთ სასუქები. მეცხოველეობის ფერმებში გაცხოველებული მუშაობაა. მექანიზატორები სასოფლო-სამეურნეო მანქანებს უკეთებენ რემონტს.

საქართველოს სოფლის მშრომელები მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის გაზაფხულს განსაკუთრებული შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ხვდებიან, რომელიც გამოწვეულია „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ზრუნავენ იმისათვის, რომ ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ ეს ისტორიული იუბილე.

ხუთწლედის მეორე წლის ვალდებულებების შესასრულებლად ბრძოლა ჩვენმა მშრომელებმა უჩვეულო მკაცრი ზამთრის გამო დაგვიანებით დაიწყეს. ჩვენს ბარს ხანგრძლივი დროის განმავლობაში თოვლის თეთრი საბურველი ეფარა, მთა კი კვლავ გადათეთრებულია. ხუსხიან, ყინვიან დღეებში შეწყდა მიწის სამუშაოები. მძიმე დღეები დაუდგათ ჩვენს მევენახეებს, მეციტრუსეებს, მეჩაიეებს, მებაღეებს. მეცხოველეობის ფერმებში, ერთობ გაძნელდა შრომა, განსაკუთრებით გაუჭირდათ მოზაბთრე მეცხვარეებს ნოლაეთის ველებზე. ნოლაეთსა და ივრისპირეთში მეცხვარეები ვაქცაცურად გაუმკლავდნენ ხუსხიან ზამთარს.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა შემჭიდროებულ ვადებში დაშთავრებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ინტერესები მოითხოვენ, რომ პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა აქტიურად, დროულად აამოქმედონ მთელი რეზერვები, რათა მკაცრი ზამთრით გამოწვეული სიძნელეები დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას. ამ საქმეში დიდი როლის შესრულება ხელეციალისტებს აკისრიათ.

გაჭიანურებულმა მკაცრმა ზამთარმა მარტო მებაღე-მევენახეები და მეცხოველეები როდი დააყენა განსაკუთრებული ამოცანების წინაშე. მათთან ერთად საზრუნავი თესქმის გაუოკეცდათ მემინდვრეებს, მებოსტნეებს, მეჭარხლეებს, მეთამბაქოეებს. ახლა მთავარია ხელსაყრელი ამინდების პირობებში ყოველი დღე, ყოველი საათი ნაყოფიერად გამოვიყენოთ. საგაზაფხულო სამუშაოების აგროვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულებაში გადამწყვეტი სიტყვა მექანიზატორებს ეკუთვნით.

საგაზაფხულო სამუშაოები აგროვადებში რომ შესრულდეს, საჭიროა გამართული ტრაქტორები, მისაბმელი იარაღ-მანქანები, საკმაო რაოდენობით კონდიციური თესლი. რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებიდან ვგებულობთ, რომ ზოგიერთ რაიონში სუსხიანი ზამთრით შექმნილ მდგომარეობას სათანადოდ ვერ გაუკეთეს ანალიზი, დროულად ვერ გამართეს ტრაქტორები, სათესები და სხვა იარაღ-მანქანები, საჭირო რაოდენობით ვერ მოიმარაგეს მაღალხარისხოვანი თესლი. საყვედური ეთქმის „საქსოფლტექნიკის“ ბევრ რაიონულ განყოფილებას, რომლებმაც სათანადოდ ვერ იზრუნეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დროულად და მაღალხარისხოვნად შეკეთებისათვის. „საქსოფლტექნიკამ“ ბევრი რაიონის მექანიზატორები ვერ უზრუნველყო საჭირო სათადარიგო ნაწილებით, რამაც ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების რემონტის გაჭიანურება გამოიწვია. დრო არ ითმენს, შექმნილი მდგომარეობა გვიკარნახებს, რომ ნაკლოვანებანი დაუყოვნებლივ, მოკლე დროში აღმოიფხვრას.

მარცვლეული კულტურებისადმი ზოგიერთი რაიონის უპასუხისმგებლო. დაუდევარი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ შარაბნრესპუბლიკის სარწყავ მიწებზე სიმინდის საშუალო მოსავლიანობამ 11.3 ცენტნერს არ აღემატებოდა. ამ საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩენენ აბაშის, ვალის, გარდაბნის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ხობოსწყუს რაიონები. ვალისა და აბაშის რაიონებს ადრე სიმინდის უხვი მოსავლის მიღების კარგი ტრადიციები ჰქონდათ. აქაური მესიმინდეების მდიდარ გამოცდილებას სხვა რაიონების მესიმინდეებსა წარმოებაში აქტიურად ნერგავდნენ. ამ ბოლო წლებში ბელელებმა და აბაშელებმა რატომღაც დაივიწყეს რომ სიმინდი მარცვლეულის წარმოების გადიდების დიდი რეზერვია.

მარტი მზნელ-მთესველთათვის გადამწყვეტი თვეა. ხანგრძლივი ზამთრით გამოწვეული ჩამორჩენა ახლა უნდა გამოსწორდეს. სიძნელეები ყოველთვის იყო, მაგრამ წელს განსაკუთრებით მკაცრმა სიძნელეებმა არ უნდა შეგვაშინოს, უიმედობასა და სასოწარკვეთილებამდე არ მივგიყვანოს. მთელი ძალები უნდა დავრაზმოთ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მკაცრი ზამთრის შედეგები უსწრაფესად დავძლიოთ.

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა რესპუბლიკის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი მიმდინარე წლისათვის. უფრო ადრე გაზეთებში დაიბეჭდა შეჯიბრების ინიციატორების გურჯაანის, წალკის, ჭარელის რაიონების ვალდებულებანი და წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხანის კოლმეურნეობის ღია წერილი საქართველოს სოფლის მშრომელებისადმი. ინიციატორებმა ვალდებულება იკისრეს ხუთწლედის მეორე წლის დავალებანი დიდი გადამეტებით შეასრულონ, ამასთან ისინი ვარაუდობენ უფრო ადრეულ მოწამოთქმედების კულტურა, რომ ყოველი ჰექტარი მიწა მაღალნაყოფიერი იყოს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ინიციატორთა თაოსნობა და წინადადება მისცა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მხარი დაუჭირონ მათ. წარმოებაში დანერგონ მოწინავე აგროტექნიკა და ამ გზით მიაღწიონ პროდუქტების სიუხვეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დღეებში თათბირზე განიხილა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა შემჭიდროებულ ვადებში დამთავრებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი. ამ თათბირზე მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ხანგრძლივი, მკაცრი ზამთრის გამო მეტად რთული ვითარება შეიქმნა. დაზიანდა მრავალწლიანი ნარგავების საკმაო ნაწილი. დანაკლისი განიცადეს ზოგიერთი რაიონის მეცხვარეობის ფერმებმა. ახლა ამოცანა ის არის, რომ მკაცრი ზამთრის შედეგები დროულად აღმოვფხვრათ, სოფლის მეურნეობაში ახალ-ახალი წარმატებებით შევხვდეთ სსრ კავშირის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის ორგანიზებულად განხორციელებისათვის ბრძოლაში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მდიდარი გამოცდილება, რომელიც ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეისათვის მზადების პერიოდში.

საქართველოს სოფლის ჭეშმარიტ ელჭალნო! მოკლე ვადებში დაამთავრეთ ხანგრძლივი, მკაცრი ზამთრის შედეგები. აბარეთ ზაფხულის ბაღში და მაღალ დონეზე შეასრულეთ საგაზაფხულო სამუშაოები, ენერგიულად ვიშრომეთ იმისათვის, რომ ხუთწლედის მეორე წლის, სსრ კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს წლის სოციალისტური ვალდებულებანი ვალდებულებით შეგასრულოთ!

ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო ლიბიის მთავრობის ლეგიტაციის მეთაური

28 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. **პოდგორნიმ** კრემლში მიიღო ლიბიის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მეთაური, ლიბიის არაბთა რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს წევრი **აბდელ სალამ ჯელოდა**, რომელიც მოსკოვში იმყოფება.

მეგობრული საუბრის დროს მხარეებმა შეიხილეს საბჭოთა კავშირ-ლიბიის ურთიერთობის განვითარების, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის საკითხები, მთელ რიგ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს. (საკდესი).

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი

29 თებერვალს კრემლში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ეროშევიჩი.

ა. ნ. კოსიგინსა და ბ. ეროშევიჩს შორის გაიმართა საუბარი, რომელიც ძმურ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. საუბრის დროს განიხილეს სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების საკითხები, აგრეთვე ყველაზე აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

საუბარში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ს. ვ. ჩერვონენკო; ჩეხოსლოვაკიის მხრივ — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. ბაბელა. (საკდესი).

მოლაპარაკება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

28 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. ეროშევიჩის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულითად, ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა, მინისტრებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. განიხილეს პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევასთან, აგრეთვე სხვა აქტუალურ საერთაშორისო პრობლემები. (საკდესი).

ლიბიის მაჯისცემა

დაეშვა V სრულიად საკავშირო კინოფესტივალის ალაბი

V სრულიად საკავშირო კინოფესტივალი 1972 ლენინგრადი

29 თებერვალს ნაჭარმეტევლოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საზეიმოდ დაიხურა ჩვენი ქვეყნის V კინოფორუმი. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი საბჭოთა კინოხელოვნების დიდ ზეიმად, გასულ წელს კინოს მოღვაწეთა მიერ გაწეული მუშაობის შემოქმედებით ანგარიშად გადაიქცა.

სკკპ-ის სიორმეშია V სრულიად საკავშირო კინოფესტივალის ეძღვნა, მარკანი ფრიალებს ამ დიდი კინოფორუმის ალაში. სკკპ-ნაზე არიან საორგანიზაციო კომიტეტის, მხატვრული და მეცნიერულ-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების ჟიურების წევრები, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის კინომატოგრაფისტთა ელვალიერები, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ კინოსტუდიათა წარმომადგენლები, საბჭოთა კინოს თვალსაჩინო რეჟისორები, ოპერატორები, სკენარისტები და მსახიობები.

ჩვენ შეიკრიბეთ ამ დარბაზში, თქვა კინოფესტივალის დახურვაზე გამოსულმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინომატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, V სრულიად საკავშირო კინოფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. გოლოვნიამ, რათა შეეჯამოთ თესლეული ნაყოფიერები ამ ფესტივალის ეგიდით. ეროვნული ფილმების ფესტივალის ორმოცამდე შეჯიბრება ქალაქ თბილისისა და ახლომახლო რაიონების მშრომელებთან. კინორეჟისორები, სკენარისტები, ოპერატორები, მსახიობები, კინოსტუდიათა ხელმძღვანელები ეწვიენენ ნაწარმოებებს, კოლმეურნეობებს, სასწავლებლებს, შემოქმედებითი თუ ხელოვნებისა და საბჭოთა ნაწილებს. სახალხოვნია ალინიშნოს, რომ ყველა საფესტივალო ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი საზღვარგარეთელი სტუმრები. სოციალისტური ქვეყნების კინომატოგრაფისტები, კინოხელოვნებანი ჩვენი ამხანაგები და მეგობრები.

ფესტივალის ყველა მონაწილისა და სტუმრის დიდხანს დაამახსოვრდება სტუმართმოყვარე საქართველოში გატარებული ეს დღეები.

შემდეგ ვ. „გოლოვნიამ სიტყვა მისცა მხატვრული ფილმების ჟიურის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ხ. ბოხდარჩუკს, რომელმაც დაასახელა ლაურეატები.

მთავარი პრიზი და პრემია მიეკუთვნა კინოპოემა „ბანთავისუფლების“ დამამთავრებელ კინოფილმებს „ბრძოლა ბერლინისათვის“ და „უკანასკნელი შტურმი“ („მოსფილმი“), რომლებიც მაყურებლად და მართლად ასახავენ საბჭოთა ხალხის ისტორიულ გმირობას დიდ სამამულო ომში.

პრიზები და პრემიები ეკუთვნა სახალხო გმირული ეპოსის ტრადიციების დამკვიდრებისათვის მიეკუთვნათ კინოფილმებს „ბაკარის ბერაკები“ (ლოვენკოს სახელობის კინოსტუდია) და „ოსტატი და ხუხრაბი“ (კინოსტუდია „ტალინფილმი“).

პრიზი და პრემია თანამედროვე საბჭოთა ადამიანზე შექმნილი საკინოხელოვნო ფილმისათვის მიენიჭა ფილმს „ჟუთისოფელი“ (კინოსტუდია „საქართველო ფილმი“).

პრიზი და პრემია საკავშირო სიბავშვეო და ახალგაზრდული ფილმებისა „ოქროს ბალახი“ (ალ. ფაინციმერის სახ. კინოსტუდია) „ბიჭი, ეს ნასტია“ (ვ. გორკის სახელობის სიბავშვეო და ახალგაზრდული ფილმების ცენტრალური სტუდია“).

დიპლომი და პრემია კინოკომედიის ჟანრის დამუშავებაში შეტანილი წვლილისათვის მიეკუთვნა დამდგმელ რეჟისორს ლეონიდ გაიდაის (კინოსტუდია „მოსფილმი“) და დამდგმელ რეჟისორს თენგიზ აბულაძეს (კინოსტუდია „საქართველო ფილმი“).

პრიზი და პრემია საოპერეტო მოლტიპლიკაციური ფილმისათვის — ფილმებს „ჩებურაშკა“ და „ბრძოლა კერენცთან“ (საკავშირო მულტიპლიკაციური ფილმების სტუდია).

დიპლომი და პრემია საოპერეტო სკენარისათვის — ვალენტინ სპირინას ფილმის „ოჰ, ეს ნასტია“ სკენარის ავტორს (ვ. გორკის სახელობის სიბავშვეო და ახალგაზრდული ფილმების ცენტრალური სტუდია) და ხულიკო ჟღენტს ფილმის „ჟუთისოფლის“ სკენარის ავტორს (კინოსტუდია „საქართველო ფილმი“).

დიპლომი და პრემია რეჟისორული ნამუშევრისათვის — დამდგმელ რეჟისორებს: ხოჯაკული ნარლიევს ფილმისათვის „რძალი“ (კინოსტუდია „თურქმენფილმი“) და შუქრან ანანოვს ფილმისათვის „სიუპრაიზული დრამა“ (კინოსტუდია „უზბეკფილმი“).

დიპლომი და პრემია ოპერატორული ნამუშევრისათვის ფილმ „ბასთანაბალაში“ (კინოსტუდია „არმენფილმი“) — კინოოპერატორ სერგო ასრაელიანს.

დიპლომი და პრემია საუკეთესო მხატვრული გაფორმებისათვის

(დასასრული 3ე-ე გვ.).

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

ხუთწლედი ჩემს ოჯახში

მახარაძის რაიონის შრომის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი კოლმეურნეობის გამოცდილება—ყველას!





რაც დრო გადის, მით უფრო შენდება, მშენდება, სოფელი შრომა. ეს იმიტომ, რომ აქ გამრჯე, შრომისმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ და ქმნიან თავიანთ ბედნიერ აწმყოსა და უფრო უკეთეს მომავალს.

ამ სოფლის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **მ. ორაგველიძე**) საქვეყნოდ გაითქვა სახელი. სოფლის მშრომელები არა ერთი პატრიოტული ინიციატივის თაოსნები არიან.

უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა მეგობრული შეჯიბრება სწორედ შრომელებმა წამოიწყეს; ჩაისა და სიმინდის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა წინა ხუთწლედებში მათ გააჩაღეს: მათ შექმნეს შრომისა და მეგობრობის მუზეუმი. და ვინ მოსთვლის კიდევ რა ინიციატივა გამოიჩინეს შრომელებმა!

დაიწყო თუ არა მეცხრე ხუთწლედის მეორე წელი, შრომელებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ.

„როგორ ვიცხოვრობთ დღეს და როგორ ვიცხოვრებთ ხვალ — ეს დამოკიდებულია თვით ჩვენზე, ჩვენი შრომის წარმატებებზე“, — ლ. ი. ბრეჟნევი

ეს სიტყვები ამშვენებს იმ პატარა წითელყდიან წიგნაკს, რომელიც ახლა შრომის კოლმეურნეობის ყველა ოჯახშია.

ამ წიგნაკის თავფურცელს მსხვილი ასოებით აწერია **„ხუთწლედი ჩემს ოჯახში“**. წიგნაკის თავფურცლის ბოლოს გვითხულობთ — **„ხუთწლედი ჩემს ოჯახში. მისი შესრულება ჩემი ოჯახის ბედნიერება, ღირსება და სინდის-ნამუსია“.**

შრომელმა კოლმეურნეებმა ეს სიტყვები გადააქციეს თავიანთი შემდგომი მოქმედების დეკალად. თვითეულმა ოჯახმა შრომისუნარიან წევრთა რაოდენობის მიხედვით ვალდებულება იკისრა ხუთწლედის მანძილზე უხვად აწარმოოს პროდუქტები და საპატიო წვლილი შეიტანოს სკკპ XXIV ყრილობის მიზანდასახულობათა განხორციელების საქმეში.

სურათებზე, რომლებსაც დღეს ვაქვეყნებთ, თქვენ ხედავთ **გუგული სირაძის** ოჯახის წითელყდიან წიგნაკს.

აი რას, ვკითხულობთ მასში:

„№ 10 ბრიგადის წევრს გუგული ჭარისპანის ასულ სირაძესს კოლმეურნეობის გამგეობა ხუთი წლით უპიროვნებს თქვენს ოჯახს მოსავლელად და მაღალი მოსავლის მისაღებად:

ჩაის პლანტაციას 1 ჰექტარს,
ციტრუსების — 500 ძირს,
ტუნგრს — 30 ძირს,
ერთწლიან კულტურას — 1 ჰექტარს,
აბრეშუმის მურს — 20 გრამს.

მახარაძის რაიონის „შრომის კოლმეურნეობის ეს „პატრიოტული თაოსნობა მისაბაძია.

იმედია კოლმეურნეთა ოჯახები მხარს დაუჭერენ შრომელთა თაოსნობას და უფრო გაამრავლებენ მიწის ბოლაქას, სოფლის დოვლათს. და თავიანთი ოჯახებით საპატიო წვლილს შეიტანენ ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებაში.

სკკპ-ოთა კავშირში ვიზიტის გამო

განგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი შეიხი მუჯიბურ რაჰმანი



სპბპ-ომ მთავრობის მოწვევით მიმდინარე წლის 1 მარტს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოდის შეიხი მუჯიბურ რაჰმანი, განგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

შეიხი მუჯიბურ რაჰმანი დაიბადა 1920 წელს აღმოსავლეთ ბენგალიაში აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო სტუდენტობის წლებში, 1949 წელს შეიდა სახალხო ლიგის პარტიაში. ამ პარტიისაგან შეიხი მუჯიბურ რაჰმანი არჩეული იყო პარლამენტში და შედიოდა აღმოსავლეთ პაკისტანის მთავრობის შემადგენლობაში. 1966 წლიდან იგი სახალხო ლიგის პარტიის უფროსი თავმჯდომარეა.

აჭარული პოლიტიკური მოღვაწეობისა და მამაცური ბრძოლისათვის თავისი ხალხის სამართლიან უფლებათა დასაცავად შეიხი მუჯიბურ რაჰმანი ბევრჯერ ყოფილა რეპრესირებული და 11 წელი გაატარა პატიმრობაში.

1970 წლის დეკემბერში გამართულ პირველ საყოველთაო არჩევნებში. სახალხო ლიგამ აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა პაკისტანის პარლამენტში. 1971 წლის მარტში შეიხი მუჯიბურ რაჰმანი, როგორც უმრავლესობის პარტიის ლიდერი, მოლაპარაკებას აწარმოებდა პაკისტანის სამხედრო ადმინისტრაციასთან, იბრძოლა პარლამენტის რაც შეიძლება მალე მოწვევისა და სამოქალაქო მთავრობისათვის ძალაუფლების გადასაცემად.



მარტს დაიწყო, გამარჯვებით დამთავრდა. ეს დღე გამოცხადებულია განგლადეშის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღედ. მიმდინარე წლის იანვარში შეიხი მუჯიბურ რაჰმანი დაბრუნდა რესპუბლიკის დედაქალაქ დაკაში და სათავეში ნაუდგა ქვეყნის ხელისუფლებას.

განგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია: მეზობლობა, მშვიდობიანი თანაარსებობა, ბრძოლა იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, მეგობრული ურთიერთობის განვითარება ყველა ქვეყანასთან, საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცება.

შეიხი მუჯიბურ რაჰმანი პირველად ჩამოდის საბჭოთა კავშირში. ამ დღეებში მან განაცხადა: „საბჭოთა კავშირში მიგემგზავრები მეგობრობის მისიით, რათა ყოველთადად მივისალმოთ და დიდი მადლობა გადავუხადოთ საბჭოთა თანამოძმეს და დიდ საბჭოთა ხალხს იმ დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რაც მათ განგლადეშის ხალხს გაუწიეს განმათავისუფლებელ ბრძოლაში“.

საბჭოთა ადამიანები გულითადად მიესალმებიან მეგობარი განგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს.



კომპოზიტორის უკვდავება

ალექსანდრე სპენდიაროვის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

საქართველო ამ დღეებში პატივსა სცემს სიმღერის მუსიკის კლასიკოსს, შესანიშნავ ოსტატსა და მოქალაქეს ალექსანდრე სპენდიაროვს. სპენდიაროვის შემოქმედება იყო ღრმად ეროვნული, ამიტომ ვახდა იგი ზოგადკაცობრიული, მისმა მემკვიდრეობამ კი - მტკიცე ადგილი დაიკავა ჩვენი სოციალისტური კულტურის საგანძურში.

ასმა წელმა განვლო ალექსანდრე სპენდიაროვის დაბადებიდან. ამ თარიღს აღნიშნავს ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხი. ეროვნებნი დაწყებული ეუბილეს ალსანიშნავი ზეიმი თბილისში გრძელდება.

28 თებერვალს თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაიმართა საიუბილეო საღამო, რომელიც მიეძღვნა ალექსანდრე სპენდიაროვის დაბადების 100 წლისთავს, საღამო მოაწყვეს საქართველოს კულტურის სამინისტრომ და კომპოზიტორთა კავშირმა.

თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ ა. სპენდიაროვის ნათელი და თვითმყოფადი ნიჭის თაყვანისმცემლები, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, მეინიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ახალგაზრდობა. თბილისში საიუბილეო საღამოში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა მოძმე ხალხთაგან დელეგაცია.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ხელმძღვანელმა ეროვნულ ნაწარმოებთა, კოლმეურნეობებს, სასწავლებლებს, შემოქმედებითი თუ ჯგუფებრივ სიბავშვეთა და საბჭოთა ნაწილებს. სახალხოვნია ალინიშნოს, რომ ყველა საფესტივალო ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი საზღვარგარეთელი სტუმრები. სოციალისტური ქვეყნების კინომატოგრაფისტები, კინოხელოვნებანი ჩვენი ამხანაგები და მეგობრები.

ფესტივალის ყველა მონაწილისა და სტუმრის დიდხანს დაამახსოვრდება სტუმართმოყვარე საქართველოში გატარებული ეს დღეები.

შემდეგ ვ. „გოლოვნიამ სიტყვა მისცა მხატვრული ფილმების ჟიურის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ხ. ბოხდარჩუკს, რომელმაც დაასახელა ლაურეატები.

მთავარი პრიზი და პრემია მიეკუთვნა კინოპოემა „ბანთავისუფლების“ დამამთავრებელ კინოფილმებს „ბრძოლა ბერლინისათვის“ და „უკანასკნელი შტურმი“ („მოსფილმი“), რომლებიც მაყურებლად და მართლად ასახავენ საბჭოთა ხალხის ისტორიულ გმირობას დიდ სამამულო ომში.

პრიზები და პრემიები ეკუთვნა სახალხო გმირული ეპოსის ტრადიციების დამკვიდრებისათვის მიეკუთვნათ კინოფილმებს „ბაკარის ბერაკები“ (ლოვენკოს სახელობის კინოსტუდია) და „ოსტატი და ხუხრაბი“ (კინოსტუდია „ტალინფილმი“).

პრიზი და პრემია საოპერეტო ფილმისათვის — ფილმებს „ჩებურაშკა“ (საკავშირო მულტიპლიკაციური ფილმების სტუდია).

დიპლომი და პრემია საოპერეტო სკენარისათვის — ვალენტინ სპირინას ფილმის „ოჰ, ეს ნასტია“ სკენარის ავტორს (ვ. გორკის სახელობის სიბავშვეო და ახალგაზრდული ფილმების ცენტრალური სტუდია) და ხულიკო ჟღენტს ფილმის „ჟუთისოფლის“ სკენარის ავტორს (კინოსტუდია „საქართველო ფილმი“).

დიპლომი და პრემია რეჟისორული ნამუშევრისათვის — დამდგმელ რეჟისორებს: ხოჯაკული ნარლიევს ფილმისათვის „რძალი“ (კინოსტუდია „თურქმენფილმი“) და შუქრან ანანოვს ფილმისათვის „სიუპრაიზული დრამა“ (კინოსტუდია „უზბეკფილმი“).

დიპლომი და პრემია ოპერატორული ნამუშევრისათვის ფილმ „ბასთანაბალაში“ (კინოსტუდია „არმენფილმი“) — კინოოპერატორ სერგო ასრაელიანს.

დიპლომი და პრემია საუკეთესო მხატვრული გაფორმებისათვის

მეგობრობა და ძმობა აკავშირებდა ა. სპენდიაროვს ქართულ კულტურასთან, — თქვა მომხსენებელმა. სომხეთისა და საქართველოს კულტურათა წარმომადგენლების ეს საოჯახო მეგობრობა წარმოშვა ჩვენი ხალხების სულიერმა სიახლოვემ, ერთობლივმა ბრძოლამ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. რაღაც სიმბოლურია იმაში, რომ სპენდიაროვის ქართულ-პატრიოტული ოპერა „აღმასტი“ დაიდგა ქართულ სცენაზე 1932 წელს. დღეს კი დარბაზში სხვენან ამ ოპერის წამყვანი პარტიების პირველი შემსრულებელნი. თვითმყოფადი მუსიკოსი, ნიჭიერი დირიჟორი, დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწე. ახალგაზრდობის აღმზრდელი სპენდიაროვი საბჭოთა სომხეთის მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი პირველი და ყველაზე გამოჩენილი მშენებელი იყო.

დღეს შესანიშნავი კომპოზიტორის ნაწარმოებები მარტო სომეხი ხალხის კი არა, მთელი საბჭოთა მუსიკალური კულტურის კუთვნილებაა, ცნობილია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. მის შემოქმედებით ტრადიციებს აგრძელებენ საბჭოთა სომხეთის კომპოზიტორები, რომლებმაც სახელი და დიდება შემატეს თანამედროვე სომხურ მუსიკას.

ა. სპენდიაროვი იყო ხალხთა მეგობრობის ჭეშმარიტი და ერთგული დამცველი ბრძანებისა, წმინდა და ამაღლებული ადამიანური გრძნობების მომღერალი, და ამისათვის ეკუთვნის ჩვენი დიდი მადლობა.

ა. სპენდიაროვის შესანიშნავი მემკვიდრეობის, კომპოზიტორის ღრმად თავისთავადი და ეროვნული შემოქმედების შესახებ, რომელიც გამსჭვალულია ეროვნების სიმართლით, მაღალი იდეალებით, საღამოზე ილაპარაკა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა შ. მშვილიძემ.

— ახლახან, თქვა თავის გამოსვლაში სომეხთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ, სომეხთის სსრ სახალხო არტისტმა მ. მირზოიანმა, — საზეიმო ვითარებაში აღენიშნეთ ზაქარია ფალიაშვილის იუბილე. ერევანში გამართული საღამო ამ დაჯილდოური დღესასწაულის თითქმის საბოლოო აკორდია დღევანდელი საღამო ა. სპენდიაროვის იუბილეში, რომელიც ფართოდ აღინიშნა მთელს ქვეყანაში. ეს იუბილე დაემთხვა ჩვენს დიდ დღესასწაულს, რომელისაც ვემზადებით — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს; რადგან სწორედ ფალიაშვილი სამართველოში, სპენდიაროვი სომხეთში, ჯალილოვი აზერბაიჯანში იყენენ ახალგაზრდა საბჭოთა მუსიკალური კულტურის პირველი მშენებლები.

ა. სპენდიაროვი იყო ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მაჯნებარე დამცველი. ჩვენი კლასიკოსების მიერ

პარტიული ცხოვრება

ჩვენი მუშაობის ქვაკუთხედი

გაკვეთილები შესრულების შემოწმება და კონტროლი

ჩვენი პარტია, რომელიც ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის მითითებებით, კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე ორგანიზაციულ მუშაობაში ერთ-ერთ მირველ ადგილს ანიჭებდა და ანიჭებს შესრულების შემოწმებასა და კონტროლს. კარგად დაუენებული შესრულების შემოწმება უზრუნველყოფს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა დროზე განხორციელებას, ზრდის კადრებს მაღალი პრინციპულობისა და საქმიანობის სულისკვეთებით, განამტკიცებს დისციპლინასა და ორგანიზებულობას, ავითარებს მასებს ცოცხალ შემოქმედებას.

სწორად მოწყობილი შესრულების შემოწმებასა და კონტროლს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღეს, როცა პარტიის XXIV ყრილობამ საბჭოთა ხალხს თავისი მასშტაბითა და შინაარსით უდიდესი ამოცანები დაუსახა.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ის მნიშვნელოვანი წარმატებანი, რაც ქალაქ ტყიბულის სამრეწველო, სამშენებლო, საგარანსპორტო ორგანიზაციებმა და კოლმეურნეობებმა მოიპოვეს მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულების საქმეში, ძირითადად განაპირობა იმან, რომ პარტიული ორგანიზაციები მთელი ხერიოზულობით ეკიდებიან პარტიის გადაწყვეტილებათა და ადგილებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების სწორ ორგანიზაციას, დროულად შემოწმებასა და კონტროლს.

საქალაქო კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი თვითმეზანი კი არ არის, არამედ მოქმედების სახელმძღვანელოა. საქალაქო კომიტეტის ბიურო სისტემატურად ამოწმებს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას. ამასთან შემოწმებას ახდენენ არა მარტო შტატის მუშაკები, არამედ საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედი სხვადასხვა კომისიების წევრები და უშტატო მუშაკები.

ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის ერთ-ერთ მთავარ რგოლად მიგვაჩნია პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე განსახილველი საკითხების კარგად მომზადება, მათი ღრმად შესწავლა და ამ საფუძველზე კონკრეტულ, რეალურ შესაძლებლობაზე დაფუძნებულ დადგენილებათა შემუშავება.

მეცხრე ხუთწლედის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია კომკავშირული შტატის მშენებლობა, რომელიც ამ წლის ბოლოს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ.

შარშან საქალაქო კომიტეტმა შეიმოწმა კომკავშირული შტატის მშენებლობის მდგომარეობა. გამოირკვა, რომ მთელ რიგ ობიექტებზე, განსაკუთრებით კი ზედაპირულ ნაგებობათა მშენებლობაზე, მუშაობა აბადმაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა, ადებული ტემპი ვერ უპასუხებდა გეგმიან მოთხოვნებს. შეიქმნა სპეციალისტთა კომისია სათანადო ღონისძიებათა შემუშავების მიზნით. მან დეტალურად შეისწავლა ყველა საკითხი, წარმოადგინა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც შემდგომ დაამტკიცა პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ.

მიღებული დადგენილების შესრულებაზე სისტემატური კონტროლი საქალაქო კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილებას დაევალა. ყოველივე ამას სასურველი შედეგი მოჰყვა. მნიშვნელოვნად დაჩქარდა მშენებლობის ტემპი.

შესრულების შემოწმებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიღებულ დადგენილებათა მიმდინარე შემოწმების მეთოდი.

გასული წლის სექტემბერში საქალაქო კომიტეტის აპარატის მუშაკებმა სამრეწველო, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ორგანიზაციებში შეამოწმეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1969 წლის 4 თებერვლის დადგენილების შესრულება საამქრო პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და პარტჯგუფების მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე.

შემოწმებით მთელ რიგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა.

ამ საკითხზე საქალაქო კომიტეტში აპარატის მუშაკთა თათბირი გაიმართა. თათბირზე გადაწყდა ნაკლოვანებათა გამოსახწორებლად ადგილზეკე გაგზავნილ ადამიანთა ჯგუფი. ეს ჯგუფი ადგილზე ეხმარებოდა ორგანიზაციებს, სისტემატურად ამოწმებდა ორგანიზაციებში, ახერხებენ დროულად გაერკვნენ სიტუაციაში, საკითხთა რიგიდან დროულად შეარჩიონ უმთავრესი და მიიღონ ქმედითი ზომები მათი გადაწყვეტის მიზნით. ამასთან პირველადი პარტორგანიზაციები სულ უფრო მეტ უურადღებას აქცევენ საწარმოთა ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის ზრდის საკითხებს.

ლენინის სახელობის შახტის პარტკომმა (მდივანი ი. ბუაძე) უურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ამ შახტის მზადებითი უბანი სამთო გამონამუშევართა გაყვანის დავალებას ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებდა. მაშინ როცა მუშათა შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულება 87-89 პროცენტს არ აღემატებოდა. ამ შეუსაბამობაზე პარტიულმა კომიტეტმა მიუთითა უბნის ხელმძღვანელობას და სათანადო დადგენილებაც მიიღო.

მაგრამ დადგენილების შესრულების მიმდინარე შემოწმებით გამოირკვა, რომ უბნის მუშაობაში არსებითი გარდატეხა არ მომხდარა. მაშინ პარტბიუროს სპეციალისტთა დახმარებით ანალიზი გაუკეთა უბნის მუშაობას და დადგინა შრომის ნაყოფიერების დაბალი დონის მიზეზები. როგორც გამოირკვა, უბანში შრომის ნაყოფიერების დაცემის ერთერთი მიზეზი იყო არასაგეგმო სამუშაოთა შესრულება, ზედმეტი დამმბარე მუშახელის ყოლა, მექანიზმების სათანადოდ გამოუყენებლობა და სხვ.

პარტიულმა ორგანიზაციამ მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა შესრულებაზე სისტემატური კონტროლი დაიწესა, ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ უბანი სისტემატურად ასრულებს შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმას და ამცირებს სამთო გამონამუშევართა გაყვანის ღირებულებას.

ხაჭალაჭო კომიტეტი უურადღებით ეკიდება იმ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას, რომლებიც შეეხება მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, საზოგადოებრივი წესრიგის გაძმკაცების, შრომისა და ხელფასის დისციპლინის ამაღლების, მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის საკითხებს.

ყოველივე ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ჩვენი ქალაქის წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ქ. ტყიბულის მრეწველობამ ბროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გასული წლის გეგმა 23 დეკემბრისათვის შეასრულა. შრომის ნაყოფიერება საგეგმოსთან შედარებით გაიზარდა 5 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია სამ მილიონამდე მანეთის პროდუქცია. მუშაობა საშუალო თვიურმა გამომუშავებამ 150 მანეთს გადააჭარბა.

არახელსაყრელი ამინდის შედეგად სასახელო შედეგებს მიაღწიეს ჩვენმა კოლმეურნეობებმა. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გასული წლის არამარტო გეგმა, არამედ ვალდებულებაც გადაჭარბებით შესრულდა. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა განაღდებულ იქნა 167 პროცენტით, რძისა — 112, აბრეშუმის პარკისა — 107,1 პროცენტით, ხოლო ყვერცხისა — ხუთმაგად და უფრო მეტად.

დადებითი მაგალითების მოუყვანა კიდევ ბევრის შეიძლება. მაგრამ სრულებითაც არა გვსურს ამ წერილში ისეთი შთაბეჭდილება დატოვოს, თითქოს ჩვენთან ყველაფერი რიგზე იყოს, ბიუროსა და პარტიული კრებების ყველა დადგენილება სრულდებოდეს. ჩვენს მუშაობაში, მიღწევებთან ერთად, ცოტა ნაკლი როდია. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებების ოქმების გადახედვიდან საკმაოდ შეზვდებით ისეთ დადგენილებებს, რომლებიც შეუსრულებელი დარჩა. არის ზოგიერთი ზერელედ, სქემატურად შედგენილი ღონისძიებანი, ერთი და იმავე საკითხების ორჯერ განხილვის შემთხვევები, ისე რომ წინა დადგენილების შესრულების შემოწმება არ ჩატარდა.

შესრულების შემოწმება და კონტროლი განუყრელად არის დაკავშირებული კადრების შერჩევის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან. საერთო შემოწმების შედეგების შეხებამისად ხამუშაოდან გავთავისუფლოთ საქმისათვის შეუფერებელი, ჩამორჩენილი, უპატიოსნო მუშაკები და ისინი შევცვალოთ ისეთებით, რომლებიც კომუნიზმის იდეალების ერთგულნი არიან, კარგად ესმით სამეურნეო პოლიტიკის არსი და აქვთ მაღალი ორგანიზატორული თვისებები.

ჯ. გოცირიძე,
საქართველოს კპ ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

დროის მაჯისცემა

(დასასრული)

———

ვის — ფილმ „ეიზ-ქიბეკის“ დამდგელ მხატვარს გულსარაიგულ ისმაილოვას (კინოსტუდია „ყაზახფილმი“).

დიპლომი და პრემია მასშტაბური მრავალსერიიანი ფილმის წარმოების ორგანიზაციისათვის — კინოსტუდიის „ბრძოლა ბერლინისათვის“ და „უკანასკნელი შტურმი“ (კინოსტუდია „მოსფილმი“) დირექტორს ლიდია კანარეიკინას.

დიპლომი და პრემია მიეკუთვნა ფილმს „ისიპ-ულის წითელი უაპაჩოები“ (კინოსტუდია „ყირგიზფილმი“) კინოოპერატორს ვიქტორ ოსენკოვს — ფილმის საუკეთესო ფერადი გადაწყვეტისათვის.

დიპლომები და პირველი პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მიეკუთვნა კინოფილმ „წუთისფლის“ (კინოსტუდია „ქართული ფილმი“) მთავარი როლის შემსრულებელს კინომსახიობ სოფიო ჭიაურელს.

დიპლომი და მეორე პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის — კინოფილმ „რძლის“ (კინოსტუდია „თურქმენფილმი“) მთავარი როლის შემსრულებელს — კინომსახიობ მაია აიმედოვას.

დიპლომები და პრემიები მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მიეკუთვნათ: ფილმის „ისიპ-ულის წითელი უაპაჩოები“ (კინოსტუდია „ყირგიზფილმი“) როლის შემსრულებელს კინომსახიობ სუმენკუელ ჩოკმოროვს, კინოფილმ „უკანასკნელი უელტეხილის“ (კინოსტუდია „აზერბაიჯანფილმი“) როლების შემსრულებელს კინომსახიობებს ადილ ისკანდეროვსა და ამდულა მამედოვს, კინოფილმ — „მამილის“ (კინოსტუდია „ბელორუსფილმი“) როლის შემსრულებელს ოური გორბუნეს.

ეიურის დიპლომი „ეკრანზე დრამატული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“ მიეკუთვნა კინომსახიობებს: ლატვიის სსრ სახალხო არტისტს ელზა რომინს, ყაზახეთის სსრ სახალხო არტისტს კენენბაი კოჟაბეკოვს, უკრაინის სსრ დამსახურებულ არტისტს კონსტანტინე სტეპანკოვს, უკრაინის სსრ დამსახურებულ არტისტს ივანე მიკოლაიჩუკს, ნრდილოეთ ოსეთის ასსრ სახალხო არტისტს ბიმბოლატ ვატაევს.

ქრონიკალურ - დოკუმენტური ფილმების კონკურსის შედეგები გამოაქვეყნა ეიურის თავმჯდომარემ სსრ კავშირის სახალხო არტისტმა გ. ასათიანმა.

პრიზი და პირველი პრემია საუკეთესო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისათვის მიეკუთვნა ფილმს „ნარინის დიუარი“ (კინოსტუდია „ყირგიზფილმი“) და „ამერიკის გზა“ (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია).

პრიზი და პირველი პრემია საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისათვის მიეკუთვნა ფილმს „მამაღლივეების“ (საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია).

პრიზი და მეორე პრემია საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისათვის მიეკუთვნა ფილმებს „დღესასწაულზე“ (ლატვიის კინოსტუდია) და „ჩემი სახლი“ („ეკაჯიკფილმი“).

დიპლომი და პრემია საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისათვის — კინოოპერატორებს ფაფატუსოვს და გ. ფომინს სრულმეტრაჟიანი ფილმისათვის „ოკეანე 513, ჩემი ბედო“ (შორეული აღმოსავლეთის კინოქრონიკის სტუდია).

დიპლომი და პრემია მიეკუთვნა ფილმის „შენი ხელფასის დღე“ შემოქმედებითს კოლექტივს — აქტიურალური სოციალური პრობლემის მარჯვე საავტორო გადაწყვეტისათვის.

სამეცნიერო-პოპულარული კინემატოგრაფიის დარგში პრიზი და პრემია საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ფილმისათვის მიენიჭათ ფილმებს „ლენინი და თურქესტანი“ (უზბეკეთის სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია) და „სიცოცხლის სათავეები“ (სამეცნიერო ფილმების ცენტრალური სტუდია).

პრიზი და პირველი პრემია საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის — ფილმს „წიწვოვანი ქალაქი“ („ტალინფილმი“).

პრიზი და მეორე პრემია საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის — ფილმებს „ოპრეს საწმისი“ (საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია) და „...სამყაროს რიტმი“ (კიევის სამეცნიერო ფილმების სტუდია).

დიპლომი და პრემია მიეკუთვნათ ფილმის „დიდი მამხილებელი“ სცენარის ავტორებსა და რეჟისორს (ლენინგრადის სამეცნიერო ფილმების სტუდია) — ლ. ნ. ტოლსტოის ფილოსოფიის ლრმა და მკაფიო კინოგამოკვლევისათვის.

დიპლომი და პრემია ბავშვთათვის განკუთვნილი საკინოთესო სამეცნიერო-პოპულარული ფილმისათვის. რომელიც მაღალი გამომსახველობითი ოიგსებებით გამოირჩევა. — კინო ალმანახს „ბარსკელავი“ № 11 (სამეცნიერო ფილმების ცენტრალური სტუდია).

დიპლომი და პრემია გადადების სპეციალურ საშუალებათა გამოყენებით მეცნიერული და ტექნიკური ეკრანიზაციისა თვის საკინოთესო კინემატოგრაფიული განსახილველად — სრულმეტრაჟიან ფილმს „პირველნი“ (ლენინგრადის დოკუმენტური ფილმების სტუდია).

კინოპერიოდიკის დარგში:

დიპლომი და პირველი პრემია მიეკუთვნათ კინოჟურნალებს „საბჭოთა ლიტვა“ № 36 (ლიტვის კინოსტუდია) და „პიონერია“ № 9 (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია).

დიპლომი და მეორე პრემია მიეკუთვნა კინოჟურნალს „ბაკურიანი“ № 16 (ეროვნული ჭრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდია).

ეიურის სპეციალური დიპლომი მიეკუთვნა სატირიკული კინოჟურნალის „პატრუქის“ № 114-ში შესული სიუჟეტს „ძველი მდგომარეობა“ (სრულიად საკავშირო სატირიკული კინოჟურნალის „პატრუქის“ რედაქცია).

ეიურიმ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება V სრულიად საკავშირო კინოფესტივალის დიპლომებით აღინიშნოს შემდეგი ფილმები და კინოჟურნალები, რომლებიც ეკუთვნიან ასახავენ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას: „ჩემი დედესტანი“ (სვერდლოვსკის კინოსტუდია), „მოლდავური ეხიზები“ (კინოსტუდია „მოლდოვა-ფილმი“), „ბმადლობთ“ (ერევნის ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდია), „საბჭოთა აზერბაიჯანი“ № 2 (კინოსტუდია „აზერბაიჯანფილმი“), „ლალი“ — ვეფხვრიცის ქალაშვილი“ („ბელორუსფილმი“), „შეტალურგი“ ივსენევი. პორტრეტი და ქრონიკა“ (კიევი-ფილმი) კინოქრონიკის სტუდია), „ცხელი შეჩერება“ (ქრიმო ვოლგის კინოქრონიკის სტუდია).

გარდა ამ ძირითადი ჯილდოებისა, V სრულიად საკავშირო კინოფესტივალის გამოჩენებულთათვის დაწესებული იყო მთელი რიგ საკავშირო და რესპუბლიკურ ორგანიზაციათა პრიზები და დიპლომები. ბევრ ფილმს, რეჟისორს, ოპერატორსა და მსახიობს მიეკუთვნა ეს ჯილდოები. საზოგადოებრივი პრიზებითა და დიპლომებით დაჯილდოვებულთ გულითბილად მიესალმნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ხიჩაძე, საკავშირო პროფსაბჭოს კინოს ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ბ. ფედოსოვი, ამიერკავკასიის წითელროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე გენერალ-მაიორი ნ. ბარკოვი, სსრ კავშირის სპორტული კინოს ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი ა. ზლოდარევა, ეურნალ „სოვეტსკი ეკრანის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ი. ვარშავსკი და სხვები.

V სრულიად საკავშირო კინოფესტივალის ლაურეატთა სახელით სიტყვა წარმოთქვა ტაჯიკეთის სსრ სახალხო არტისტმა, ტაჯიკეთის კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანმა ბ. კიმიაგაროვმა.

V სრულიად საკავშირო ფესტივალი, თქვა დასასრულ ვ. გოლოვნინამ, ეიტეკვალად შეიტანს თავის წვლილს ჩვენი კინოხელოვნების განვითარების საქმეში.

საფესტივალო შეხვედრები მაყურებლებთან, ფილმთა კონკურსი, შემოქმედებითი აზრთა გაზიარება ხელს უწყობენ ჩვენი კინემატოგრაფიის შემდგომ აღმავლობას, კინოეკრანის ოსტატთა შემოქმედებით შეჯიბრების გაფართოებას, კინოტაქტების განმტკიცებას მაყურებლებთან, რომელთა აზრი ჩვენთვის მუდამ იყო და არის გადამწყვეტი ფაქტორი კინონაწარმოებთა შეფასებაში.

V სრულიად საკავშირო კინოფესტივალის წარმატებით ჩატარება უწინარეს ყოვლისა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დიდი ყოველდღიური უურადღებისა და დახმარების შედეგია. ნება მიბოძეთ ამისათვის ყველა კინემატოგრაფისტის სახელით გულმხურვალე მადლობა გადავუხადო მათ.

ნება მიბოძეთ მადლობა გადავუხადო ჩვენს პრესას, რადიოს, ტელევიზიას, კინოქრონიკას კინოფესტივალის მთელი მსვლელობის აქტიურად ასახვისათვის. მათი ხელშეწყობით თბილისს კინოფესტივალის ამბები ფართოდ შეიტყო მთელმა ქვეყანამ, ყველა კინომოყვარულმა.

ნება მიბოძეთ აგრეთვე აღვნიშნო დიდი და დაძაბული მუშაობა, რომელიც ფესტივალის ეიურიმ გასწია, და გულწრფელი მადლობა გადავუხადო ორივე ეიურის ყველა წევრს ნაყოფიერ მუშაობისათვის.

საბჭოთა კინემატოგრაფისტები მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, მთელ თავიანთ ნიჭს, მთელ თავიანთ შემოქმედებითს ენერგიას მოახმარენ კინოხელოვნების ახალ ნაწარმოებთა შექმნას, რომლებიც ღირსეულად ასახავენ კომუნისტის მშენებელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, მის გმირულ საქმეებსა და მიღწევებს.

V სრულიად საკავშირო კინოფესტივალის საზეიმო დახურვის ესწრებოდნენ ამხანაგები მ. გიგინაიშვილი, ო. ლოლაშვილი, ნ. ცხვაია, შ. ჭანფუფაძე, გ. ჯავახიშვილი, რ. მეტრეველი, თ. მოსაშვილი, ჯ. პატიაშვილი.

